# ძამის ხეობა-საციციანო - კულტურული ძეგლები

## ზღუდერი

სოფლის ცენტრში დაცულია ძველი ტაძარი, რომელიც შემოზღუდული ყოფილა ციხე-გალავნით და ამის გამო სოფელსაც ზღუდერი ეწოდა.

ციხე-კოშკები არ შემონახულა, არის ნასოფლარი ეკლესიების ნანგრევები. ეკლესია ნახევრად დანგრეულია, კედლის სამოსელი ფიქალქვები შემოძარცულია. ეკლესია ძველია და რამდენჯერმეა გადაკეთებული. ეკლესიის პირველი ფენა VI-VII საუკუნეებშია დაწყებული, მისი გეგმა ჯვარისებური კვეთის მიხედვით. სამნავიანი ბაზილიკის ჩანასახს იძლევა. მასზეა წარწერა ერთ ფილაზე:„წმ. სტეფანე შეიწყალე ისაკ და მაბიამ შვილითურთ.“ ეკლესიის კარის თავი შემკული ყოფილა მცენარის ორნამენტით (ვაზის მტევნები) ხალხური გადმოცემით ეს ეკლესია დაუწვავთ დაღესტნელ არაბებს, რომლებიც ამ ხეობას არბევდნენ. ეკლესიის შიგნით კედლები ახლაც კი შემურულია.

ეკლესიის ეზო შემოზღუდული ყოფილა ქვიტკირის გალავნით, რომლის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი. ეს გალავანი მაღალი და ოთხივე მხრივ კოშკებით გამაგრებული იქნებოდა. ნაკოშკარი ადგილები დღესაც კარგად ეტყობა სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარეზე. იქვეა ერთი პატარა სამლოცველო ე.წ. ციების ეკლესია. იგი მოთავსებულია ღვანანის ნაპირზე, ზედ გზის პირას და თითქმის დანგრეული.

## ყინწვისი

სოფ. ყინწვისს გავცდებით თუ არა, თვალიდან არ გვცილდება მთის

კალთებში ჩამჯდარი ეკლესიის გუმბათი, რომელიც მკაფიო ფერითაა და ქართული აგურის მოვარდისფერო ტონით მწვანე მიდამოსთან მოხდენილადაა შერწყმული.

მონასტერი ტყით არის დაფარული, ადრე ძბნელი მისასვლელი იყო. აგებულია დავაკებზე, აქვს ლამაზი ეზო, რომელიც შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ეკლესიას აღწერს თავის ნაშრომში „წმინდის ნიკოლოზისა, გუმბათიანი, დიდმშვენივრად ნაშენი მაღალს ადგილსა ზედა.“

ყინწვისის უნიკალური ძეგლი აგებულია XIII ს დასაწყისში წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ცენტრალურგუმბათოვანი ა ეკლესიაა, რომელიც შუაში აგურითაა ნაშენი, აქვეა მეორე, ქვიტკირით ნაგები უფრო ძველი ტაძარი, სამრეკლო, კოშკი, მცირე ეკლესიები და სხვა ნაგებობანი. გალავნის შიგნით ბერების სადგომები

(სენაკები) ყოფილა.

ეკლესიას სამი შესაასვლელი აქვს: დასავლეთით, სამხრეთით და ჩრდილოეთით.

ყინწვისის მთავარი ტაძარი გარედან სადაა და უორნამემტო, მაგრამ შიგნით მოხატულია. კედლის მხატვრობა ზოგან გადასულა, რაც კი შერჩენილია, მაღალი ხელოვნებით არის შესრულებული: ტაძრის ჩრდილოეთის კედელზე მთელი ტანით გამოსახული აერიან გიორგი III, თამარ მეფე, ლაშა-გიორგი ხელაბყრობილნი. მავედრებლის პროზაში.

მონასტრის დასავლეთის მხარეზე დგას ერთნავიანი ქვიტკირის ეკლესია. მისი წინა მხარე მხარე მორღვეულია და ჩაქცეული, ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დგას პატარა შენობა, რომელიც მოპირკეთებულია თლილი ქვით. ამბობენ, ამ ოთახიდან გვირაბი ჩადიოდა წყალზე (იქვე ჩამოდის ყინცურა), აგრეთვე-ხაროებში(ეზოშ❑ ❑❑ ახლაც დაცულია ქვით ამოგებული სამი ხარო), საიდანაც ჭირნახული ამოჰქონდათ.

ყინწვისიდან ერთი კილომეტრის დაშორებით არის ე.წ. ,,გიგოს საყდარი''. იგი უკვე დაშლილია, მხოლოდ შერჩენილია ბარელიეფები, რომელშიც გამოსახულია მამაკაცის ფიგურა წელზემოთ ორი მტრედით, ირემით და გველეშაპით.

ყინწვისის ტაძარი



ზაზა ფანასკერტელის ფრესკა ყინწვისის ტაძარში

## მძოვრეთის ციხე

ძამის ხეობაში ყველაზე დიდია მძოვრეთის ციხე. ციხე-დარბაზს გრძელიმონაკვეთი ეკავა და შემოვლებული ქონდა გალავანი. ნაგებობები შევაკებაზე იყო განლაგებული. იგი თითქმის მიუვალია. აღმოსავლეთით აკრავს მაღალი ქედი, სამხრეთით დასხლეტილი ღმა ხევი, დასავლეთით კი ორთუბნის ვიწრო ხევი. ციხის კიდე თიხნარია და ადვილად იშლება. ასეთ კლდეზე აგებულია დიდი და რთული კონსტრუქციის ციხე ციხის ასაგებად გამოყენებულია ნათალი ქვა და ისეა შეკრული დუღაბით , რომ მნახველს ერთი მთლიანი

კლდისაგან გამოკვეთილი ეგონება.

ციხის ძველი ნაგებობის ნაწილი მუქი, რუხი ფერისაა და ნაგებია მჭიდროდ. მძოვრეთის ციხე ამ ხეობაში ყველაზე, თავდაცვითი ნაგებობაა. იგი აგებული უნდა იყოს VII ს-ში. ვარაუდობენ რომ ქალაქთან ერთად ციხეც არაბებმა (მურვან ყრუ) დაანგრიეს 10 ს.

სამწუხაროდ ეს საინტერესო ციხე დღემდე არ არის შესწავლილი და გამოკვლეული, რომ შესაძლებელი იყოს მის ნაგებობათა ზუსტი დათარიღება.

ციხე მაღალი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ნაწილი ახლაც შემორჩენილია . გალავანს აქვს ორი კარი: ერთი- აღმოსავლეთით, მეორე- დასავლეთით. აქვს აგრეთვე სათოფურები. კარებში გამართულია საკედურები, რომლითაც გალავნის კარები იკეტებოდა. გალავნის ამ კარებს იცავდა მაღალი კოშკი , რომელიც ახლა თავმორღვეულია. კოშკი სამსართულიანია , შიგ გამართულია თახჩები , სარკმელი და ბუხარი . ციხეში დარბაზული ტიპის ოთახებია გამართული , ზოგი მათგანი სამსართულიანია .

შიგვე მოთავსებულია ციხის ეკლესია, რომელსაც ‘‘ციხის ეკლესიას (ღვთისმშობელს)‘‘ უწოდებენ.

ეკლესია ორსართულიანია, ჩვეულებრივი ტიპის, აშენებული უნდა იყოს XVI-XVII ს.

ძამის ხეობაში შემოჭრილ მტერს ამ ციხესთან უხდებოდა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება. განსაკუთრებით XVII-XVIII ს. მას ოსმალთა და დაღესტნელთა ლაშქარი ესეოდა, მტერს უჭირდა მძორეთის ციხის გატეხა და აღება.

ციხის ახლოს არის ციციანთა ნასახლები , რომელიც გზის პირას მდებარეობს და პირდაპირ გასცქერის ძამის ხეობას. სამხრეთით მას იცავს მაღალი მთა, ჩრდილოეთით კი გზის პირას შემოზღუდული ყოფილა მაღალი გალავნით. შიგ ყოფილა სასახლის შენობა, კოშკი და კარის ეკლესია.

ამჟამად სასახლის მხოლოდ კედლებია დარჩენილი. იგი ქვითკირისაა, ჰქონია სამი დარბაზი, რამდენიმე ოთახი და დერეფანიც.

სასახლის უკან რიყის ქვით ნაგები მაღალი კოშკია, ფორმით ოთხკუთხაა და შვიდსართულიანი.

კოშკი კარგად არის ნაგები, სართულები გამართულია ჭერ-იატაკით. ჭერი თაღიანია და ლასტები ახლაც დაცულია, რომლებზედაც დუღაბს ასხამდნენ.

კოშკის სართულებში, შიგვე, სართულიდან სართულზე,გამართულია ასასვლელი ქვის კიბეები, აქვს სათოფურებიც. კოშკის კედლები შემაგრებულია ბურჯებით. კოშკი ქვემოთ უფრო განიერია, ზემოთ კი შევიწროებული. კოშკს თავისი გალავანი ჰქონია. კოშკის სართულებში დატანებულია ბუხრები, სარკმლები და თახჩები. ზემო სართულებს გარედან მიშენებული აქვს აგურის საპირფარეშო. ამ კოშკიდან გზა გადადის მძოვრეთის ციხეში.

კოშკის აღმოსავლეთით არის კარის ეკლესია, რომელზედაც მიშენებულია სამსართულიანი კოშკოვანი შენობა. მისი პირველი სართული წარმოადგენს ფარდულს, რომელიც გამართულია ღიათაღიან ოთხ ბოძზე. ჭერიც  თაღიანი აქვს.

მეორე სართული დახურული ოთახია, რომელსაც ბუხარი,

თახჩები და სათოფურები აქვს.

მესამე სართული აგურით არის დაშენებული. მას ოთხივე მხრივ აქვს განიერი ღია თაღი. ჭერი გუმბათივით მაღალია და თაღიანი, შუაში შემოჭრილია პატარა სარკმელი

.კარაბადინი

ზაზა ფანასკერტელი (ციციშვილი)

ციციშვილების საგვარეულო გერბი

ძაძვის მონასტერი

ძაძვის მონასტერი მდებარეობს სოფ. ზღუდრის სამხრეთით, თარიღდება ადრინდელი ფეოდალური ხანით.

მონასტერი ქვითკირის გალავნით ყოფილა შემოზღუდული. მონასტრის ეზო დაფარულია ფიჭვისა და ნაძვის ხეებით. მონასტრის მთავარი ტაძარი და ნაგებობა დანერგულა 1940 წ. მიწისძვრისაგან. ეკლესიები ნაგებია თლილი ქვით, შიგნით მოხატული ყოფილა.

შესასვლელ კართან, მარცხნივ, ქვის სვეტებზე ამოჭრილია ხუცური წარწერა, რომელიც ძნელად იკითხება.

დასავლეთის მხარეზე აქვს თაღებიანი სვეტები თლილი ქვით მოპირკეთებული. ეზოში ჩაფლულია ქვევრები, არის ხუთი დიდი ხარო ხორბლის შესანახად. ბევრია საცხოვრებელი ბინების ნანგრევები.

ძაძვის მონასტერი ძველია და თავისი ნაგებობით წააგავს ვერასა ( ატენი ) და კვირიკე წმინდის ( ბორჯომის ხეობა ) მონასტრებს.

ძაძვის კონპლექსში შედის: იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სამრეკლო, სატრაპეზო, გალავანი და სხვა ნაგებობათა ნაშთები

იოანე ნათლისმცემლის ეკლესია დარბაზული ნაგებობა ადრინდელი ფეოდალური ხანით თარიღდება.

სამრეკლო ეკლესიის შუა ეზოში დგას. ნაგებია უხეშად ნატეხი კირქვით. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. სამრეკლო ორსართულიანი ყოფილა. მეორე სართული დანგრეულია, პირველი სართული წარმოადგენს კუბური მოცულობის მასიურ საფარს.

სატრაპეზო მდებარეობს ეკლესიის სამხრეთ დასავლეთით 20მ-ზე თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი სამხრეთითაა.

გალავანი ნაგებია კირქვის დიდი ლოდებით. დასავლეთით თაღისებრ კარიბჭე ჰქონია. ეზოში სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთებიც არის. მიწაში ჩაფლულია რამოდენიმე მოზრდილი ქვევრი.

ძაძვის წმ. გიორგის ეკლესია დგას სოფლის ჩრდილო-დასავლეთით. მაღალ მთაზე. თარიღდება განვითარებული ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია ნატეხი ქვით. შესასვლელი დასავლეთითაა.

## კეხიჯვარი

კეხიჯვარში დგას წმ. გიორგის ეკლესია სოფლის ძველ სასაფლაოზე. თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ეკლესია დარბაზულია, ნაგებია რიყის ქვით, ქვიშაქვითა და ტუფის გათლილი კვადრებით.

## ვედრება

ვედრებაში, არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით 1 კმ – ზე, შემაღლებულ ბორცვზე ( სამების მთა ). თარიღდება ფეოდალური ხანით. შემორჩენილია ნატეხი ქვით ნაგები დარბაზული ეკლესიისა და დასავლეთ კედლის ნაწილი. შეინიშნება გალავნისა და სხვა ნაგებობათა ნაშთები. მრავლადაა დიდი ზომის ქვები. თიხის ჭურჭლისა და კრამიტის ნატეხებ

ვედრების ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფლის დასავლეთით, მთის ფერდობზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე. ეკლესიაზე გაირჩევა ორი სამშენებლო ფენა. თავდაპირველი ნაგებობა სტილისტური ნიშნებით თარიღდება IX-X სს-ით, ნაგებია კარგად გათლილი მოსაპირკეთებელი ქვიშაქვის კვადრებით. წყობის რიგების ჰორიზონტალობა დაცულია მკაცრად. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი განსხვავებული საშენი მასალით განუახლებიათ. ამის შედეგად ნაგებობას თავდაპირველი სახე რამდენადმე შეცვლილი აქვს.

სავარაუდოა, რომ ამავე ხანებშია აშენებული ჩრდილოეთის მხრიდან რამდენიმე სწორკუთხა სათავსი. ეკლესია ძლიერ დაზიანებული იყო.
ეკლესია დარბაზულია ( 10 X 6 მ. ) შესასვლელი ორია. სამხრეთის კედელში ორი მცირე სამკუთხა ნიშია.

## სანებელი

სანებელში არქიტექტურული ძეგლი მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით 3 კმ-ზე. შემაღლებულ ბორცვზე. სარკის გორაზე. თარიღდება ფეოდალური ხანით. ფართობი 300 კვ.მ. ბორცვის წვერზე დევს დანგრეული ეკლესიის მოწითალო ფერის ქვა, რომლის ზედა ნაწილი დამუშავებულია და ექვს წახნაგაა. ხოლო ქვედა ნაწილს შენარჩუნებული აქვს ძველი ფორმა.

ლიტერატურული წყაროებიდან ვიგებთ რომ, სანებლის ეკლესია არის წმ. გიორგის სახელობის, მაგრამ გათხრების შედეგად აღმოაჩინეს წმ. ნიკოლოზის ტრაპეზის პატარა ხატი. ამის შემდეგ დასტურდება რომ, ეკლესია არის წმ. ნიკოლოზის სახელობის. ეს არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ჩრდილოეთით 300 მ-ზე სასაფლაოზე. სტილისტიკური ნიშნებით თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით. ძეგლი დაზიანებულია.

ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანია. ( 12,7 X7,8მ.), ნაგებია რიყის ქვითა

და აგურით, გამოყენებულია ნატეხი ქვაც.; შენობის კუთხეები ამოყვანილია ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით. შესასვლელი დასავლეთით და სამხრეთითაა.

ნასოფლარი, არქიტექტურული ძეგლი დგას სოფლის ჩრდილოეთით, მდ. ძამის მარცხენა ნაპირზე. თარიღდება ფეოდალური ხანით. ფართობი 1500 კვ.მ. შეინიშნება სხვადასხვა ნაგებობის საძირკვლის ნაღთები.

## სამწევრისი

სამწევრისის თავზე, მაღალ გორაზე დგას VII საუკუნის შესანიშნავი ჯვრის სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია პატარა და მაღალ გუმბათიანია. შიგ და გარეთ მოპირკეთებულია თლილი ქვით. 1940 წლის 8 მაისს სტერიუმომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ ეკლესია ძლიერ დაზიანებულა.

ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე ამოკვეთილა X საუკუნის ასომთავრული წარწერა. იგი მოგვითხრობს სამწევრისის წინამძღვრის დომნინოსისა და გიორგი თუალაისძის მიერ არხის გაყვანაზე. ,,ქ. ზედა წელსა კს კონსტანტინე მეფისა ესე რუვი მე მამასახლისმან და გიორგი თუალÁს ძემან მოვიწეთ რუვი ესე ჯვარად და არავინ არს ხუაÁ.- რუვსა ამას გარნა პატიოსანი ჯუარი და გიორგი ვინ ესე ამოიკითხოს მე დომნოს მონაი ჯვარისა, იგი ქრისტემან შეიწყალენ ამენ იყა.“

ამ წარწერაში მოხსენიებულია აფხაზთა მეფე კონსტანტინე, რომელიც მეფობდა X საუკუნის დასაწყისს.

მეორე წარწერა მოთავსებულია ტაძრის სამხრეთის ფასადზე ჩადგმულ ფილზე. ეს წარწერა არის მისი განმაახლებლის მერაბ ფანასკერტელისა, შესრულებული გვიანი დამწერლობის

ასომთავრულით:„მეორედ მაშენებელსა ფანასკერტელს მერაბს შეუნდვეს ღმერთმან ზედამდეგს ცოდვილს საბას შეუნდვნესღმერთმან.“

ეს მერაბი ზაზა ფანასკერტელის შვილია. ეკლესიის გარშემო ძველი ნამოსახლარია. ეტყობა, აქ მჭიდრო მოსახლეობა უნდა ყოფილიყო, აქ არის მამათა მონასტერი.

ეს სოფელი ეკუთვნოდა ციციშვილებს, აქვეა მათი საკმაოდ დიდი და მაგარი ციხე, რომელიც იცავდა ძამის ხეობას. ამ ციხეს უჭირავს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მაგისტრალი. იცავდა გორის ციხესაც სამხრეთ-დასავლეთით, კეტავდა ძამის და მტკვრის ხეობებს სამწევრისთან.

ციციანთა ეს ციხე აგებულია მაღალ ბორცვზე და გადასცქერს მტკვრის ხეობას. ციხე მაღალი ქვიტკირის გალავნით ყოფილა შემოზღუდული. აქვს ერთი მისასვლელი გზა სამხრეთ-დასავლეთით. ეს ციხე ნაწილობრივ დაშლილი იყო , დღეს დღეობით აღდგენილია. და დედათა მონასტერია, მისი წინამძღვარია სქემონაზონი ალექსანდრე და სხვები.

ციხეს თავისი ეკლესიაც ჰქონია. ციხის შუა მოედანზე დიდი ხაროა,

რომელიც თლილი ქვით არის ამოშენებული. ქვევრებიც ბევრია ჩაფლული, ციხის კედლებში და კოშკებში დატანებულია სათოფურები. აქვს ერთი შემოსასვლელი კარი აღმოსავლეთის მხრიდან.

ციციშვილების ეს ციხე ტიპიურია. მისი ციხე გალავანიც კი თავისი მოცულობით მთელი ხეობის მოსახლეობას დაიტევდა. იგი გამიზნული იყო ხანგრძლივი გარემოცვისათვის, რასაც მოწმობენ საცხოვრებელი ოთახები, დიდი ხაროები და კარის ეკლესიის არსებობა.

**სამწერისის ჯვრის სახელობის მონასტერი**

**სამცერისის ციხე დარბაზი და ეკლესია**